მეოთხე კლასი - ფინალური ტესტის მიმოხილვა

მშობლიური, ქართული ენის ფინალის ტესტი **100 ქულიანია.** ტესტში ჯამურად დაგხვდებათ **30 საკითხი (შეკითხვა). ტესტი შედგება 2 ნაწილისაგან:**

🔷 წაკითხული ტექსტის გააზრება (40 ქულა)
🔷 გრამატიკული და ლექსიკური დავალებები (60 ქულა)

ტესტის **ყველა შეკითხვა არჩევითპასუხიანი, დახურული ტიპისაა**. თითოეულ შეკითხვას აქვს სამი სავარაუდო პასუხი: ა, ბ ან გ, რომელთაგანაც მოსწავლეს ერთი სწორი პასუხის შერჩევა ევალება.

ნაწილი #1 - წაკითხული ტექსტის გააზრება

ტესტის ამ ნაწილში 10 შეკითხვაა და თითოეული სწორი პასუხი ფასდება 4 ქულით. შესაბამისად, ამ ნაწილის ჯამური ქულაა 40.

აღნიშნული სავარჯიშოს შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს **მცირე ზომის, კლასის შესაბამისი** ტექსტის წაკითხვა და გააზრება. **შეკითხვები შეეხება:**

- პერსონაჟების თვისებებს,
- ტექსტში მოცემულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენას,
- ტექსტის მთავარი სათქმელის/იდეის გააზრებას;

მოსწავლეს უნდა შეეძლოს ისეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, როგორებიცაა: რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული წინადადებაში? რომელ პირშია საუბარი ნაწყვეტში? და სხვა.

ნაწილი #2 - გრამატიკული და ლექსიკური დავალებები

ტესტის მეორე ნაწილი შეეხება გრამატიკულ და ლექსიკურ საკითხებს. ტესტის ამ ნაწილში 20 დავალებაა და თითოეული სწორი პასუხი ფასდება 3 ქულით, შესაბამისად ამ ნაწილის ჯამური ქულაა 60.

მოსწავლემ უნდა გამოავლინოს **კლასის შესაბამისი ცოდნა** შემდეგი მიმართულებებით:

- ნაცვალსახელები,
- ზმნისზედა,
- სწორი სიტყვათა წყვილის პოვნა,
- რიცხვითი სახელი,
- ბრუნვა,
- ზმნა,
- არსებითი სახელი და მასთან დაკავშრებული მართლწერის წესები,
- მხატვრული ხერხები,

მოსწავლე შინაარსიბრივად უნდა იაზრებდეს კლასის შესაბამის ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებს, ჰქონდეს მათ შესახებ ზოგადი ცოდნა.

სავარჯიშოს მაგალითები:

რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული წინადადებაში: “ის ისეთი მაღალი იყო, რომ ღრუბლებს ეფერებოდა” .

ა. მეტაფორა ბ. ჰიპერბოლა გ. შედარება

რომელია სწორად დაწერილი ზმნა?

ა. ვწერავ ბ. ვწერ გ. ვსწერ

რომელია სწორი მნიშვნელობით დაკავშირებული წყვილი?

ა. თბილი — ა ბოროტი
ბ. მხიარული — ანუ ხალისიანი
გ. ზარმაცი — ანუ შრომისმოყვარე

შეგახსენებთ, ფინალური ტური 4 მაისს ჩატარდება. ფინალთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის ნახვა ამ ბმულზეა შესაძლებელი: https://www.kings.ge/news/1321

კინგსის გუნდი გისურვებთ წარმატებულ ასპარეზობას!